ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1 ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით. წლიწადი მეექვსე

რედაქცი ის მისამართი: თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხე ის მომწერთათვ ს 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ.70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წ თელ არმიელებისათვის კ ლექტიურ ხელის მოწერ: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფ სი 1 გვ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

81 (1176) | კვირა, 19 დეკემბერი 1926 წ. | (1176) 181

# კანტონის ჯარები იმარჯვებენ

## ჩან-ძო-ლინის ბანაკში განხეთქილებაა

### ლორდები კვლავ ასისინდენ სსრკ ს წინააღმდეგ.

## საყოველთაო აღწერა დაიწყო.

17 დეკემბერს მთელ საბჭო- კავშირში დაიწყო მოსახ- ობის საყოველთაო აღწერა. აღწერა ვრცელდება აგრე- ე წითელ არმიაზედაც ჩვენი ზეთის ფურცლებზე უკვე აღ- ნიშნეთ თუ რა დიდი მნიშვ- ლობა აქვს აღწერას ჩვენი მეურნეო და კულტურული ნსვლისათვის. ის მოგვცემს ულ, ნამდვილ სურათს საბ- თა კავშირის მოსახლეობის გომარეობაზე, მის სოციაურ და ეროვნულ შემადგენობაზე, კულტურულ დონე- და სხვა. ყოველივე ეს გა- ება დასაყრდნობ წერტილად ნი შემდგომი მუშაობისა ის მეურნეობის განვითარე- და კულტურული წინსვ ს საქმეში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ წერა ეხება წითელ არმიასაც, დგან წითელი არმიის მთელი მადგენლობა საბჭოთა კავ- რის მოსახლეობის განუყრე ნაწილია.

აღწერა წითელ არმიაში გა არკვევს მისი ეროვნულ, სოალურ შემადგენლობას, გა- ლების დონეს, წერა-კით ს უცოდინარობას და სხვა, ც დიდათ შეუწყობს ხელს ნს სამხედრო აღმშენებლო- . თუმცა ეს ცნობები ახლაც იპოვება, მაგრამ აღწერა მათ ამოწმებს, საფუძვლიანად შე- ებს, შეიტანს მასში საჭირო სწორებებს.

ამიტომ ყოველი სამხედრო სამსახურე მოვალეა მთელი ვისი შეგნებით შეხვდეს აღ- რას და ყოველ მხრივ ხელი უწყოს მის წარმატებით ჩატარებას. პირველ ყოვლისა ეს უნდა გამოიხატოს სწორი, უტყუარი ცნობების მიწოდებაში. თუ რომელიმე წითელარმიელი სტატისტიკოსს მიაწოდებს არა სწორ ცნობებს, ამით ის უდიდეს ზიანს მიაყენებს აღწერის მთელ საქმეს, რომლის წარმატების ჩატარებისათვის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ აუარება თანხა გაიღო.

შეიძლება თითო-ოროლა გამოერიოს ისეთი შეუგნებელი, რომელმაც იფიქროს: „მე კი მივცემ სწორ ცნობებს, მაგრამ ვაი თუ ეს სხვა რამესთვის გამოიყენონო“ (მაგალითად, გადასახადის მომატების მხრივ და სხვა). ასეთი ეჭვიანობა ყოვლად დაუშვებელია და საფუძველს მოკლებული. ამ ამხანაგებს აქ უნდა მოვაგონოთ, რომ მთავრობის სპეციალური დადგენილებით აკრძალულია სტატისტიკური ბარათების გამოყენება სხვა რაიმე მიზნებისათვის, გარდა წმინდა სტატისტიკურისა. ამის შემდეგ არავითარ ეჭვიანობას არ აქვს ადგილი.

ყოველივე საქმე, რომელსაც იწყებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება არის მიმართული მშრომელთა კეთილდღეობის განმტკიცებისკენ.

მიმდინარე საყოველთაო აღწერაც ამ მიზანს ემსახურება.

და ამიტომაც მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ჩვენი დახმარება და ყურადღება ამ დიდ საქმეს!

**ჩავატაროთ ის 100% ნაყოფიერობით!**

## ომინტერნის მთლიანობა შეურყეველია

ოპოზიციის ახალი გამოსვლა მინტერნის აღმასკომის პლენუ- ისევე ჩაფლავდა, როგორც ლა მისი წინა გამოსვლები. პლე- მის რეზოლიუცია ამხ. სტალი- მოხსენების გარშემო—შინა- რტიულ მდგომარეობისა და ოზიციურ ბლოკის შესახებ, ერთ- დ ჰკიცხავს ოპოზიციას (თავი იკავა მხოლოდ ერთმა), როგო- „მემარჯვენურ საფრთხეს, რო- ლიც სცდილობდა ზოგჯერ ნამ- ილი ბუხების დაფარვას მემარ- ენურ ფრაზებით“.

ოპოზიციამ პარტიის წინააღმ- გ სცადა ბრძოლის ყველა სა- ალება, როგორც პარტიის წეს- ებით ნებადართული, ისე აკრძა- ულიც. ის გამოვიდა პარტიის 14 ყრილობაზე ერთი წლის წი- დ, ის ეწეოდა იატაკ ქვეშ ფრაქ- იულ მუშაობას, დადიოდა მოს- ვისა და ლენინგრადის მუშათა კრებებში, გამოვიდა ცეკას პლე- უმსა და მე-15 პარტკონფერენ- იაზე და, ბოლოს, გამოვიდა სა- რთაშორისო რევოლიუციის მთა- არი შტაბის—კომინტერნის ტრი- უნაზე. მაგრამ სადაც არ გამო- და ოპოზიცია, ყოველგან აღი- რთა მის წინაშე ბოლშევიკების ლენინურ მთლიანობის შეურყეველი კედელი. პარტიის წინააღმდეგ ერთი წლის ბრძოლის განმავლობაში ოპოზიციამ არამც თუ ვერ გაადიდა თავისი რიგები, პირიქით, დაჰკარგა ბევრი მომხრე, რომლებიც დაუბრუნდენ პარტიის ლენინურ გზას.

ეს მოვლენა სრულიადაც არაა შემთხვევითი.

არ შეიძლება შემთხვევითად ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ ოპოზიციამ, რომელსაც მეთაურობს ისეთი პირები, როგორც ზინოვიევი, ტროცკი და კამენევი, იგემა სასტიკი დამარცხება ბრძოლის ყველა ფრონტებზე. ეს დამარცხება შეიძლება ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ ოპოზიცია გადავარდა ლენინურ ლიანდაგიდან, დაცურდა ტროცკიზმამდე და მართლაც წარმოადგენს ის მარჯვენა, სოციალ-დემოკრატიულ განხრას ჩვენს პარტიაში. პარტია უკვე საკმაოდ გაიზარდა, ის საკმაოდ აღზრდილია ლენინურად, რათა დაინახოს ყველაფერი ეს და ოპოზიციის ვერავითარი მემარცხენური ფრაზა თვალს ვერ აუხვევს მას.

რაზე ლაპარაკობდა ოპოზიცია კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე? ის კვლავ პანიკურად გაიძახოდა, რომ ჩვენი მეურნეობა შემადგენელი ნაწილია მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის, რომელზედაც ჩვენ უფრო მეტად დამოკიდებული ვართ, რომ ჩვენი პარტია ეროვნულად გამიჯნულია და არ აქვს კურსი მსოფლიო რევოლიუციაზე, რომ პარტია თითქოს მარჯვნივ იხრება.

ოპოზიციას სურდა თავი მოეწონებია „რევოლიუციონრობით“ საერთაშორისო პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლების წინაშე; მიიღო რა ერთსულოვანი გაკიცხვა სკპ ბ) ში, ის შეეცადა ეშოვა დასაყრდნობი უცხოეთის კომპარტიებში. მაგრამ ჩვენი მოძმე პარტიები უკვე საკმაოდ არიან ლენინურად აღზრდილი, რომ გაარჩიონ, სადაა ჭეშმარიტი ლენინიზმი და სად ტროცკიზმი.

ყოველგვარ ბრალდებაზე პლენუმმა უპასუხა ოპოზიციას, რომ „სკპ (ბ)-მ მთელი თავისი წარსული და დღევანდელი მუშაობით დაამტკიცა საქმეზე თავისი ინტერნაციონალიზმი და მოგვცა ამ ინტერნაციონალიზმის უდიდესი მაგალითები. სკპ (ბ) აწარმოებს სწორ პოლიტიკას სოციალისტურ აღმშენებლობაში და სრული დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირს აქვს, „ყველაფერი საჭირო და საკმარისი“ სრული სოციალისტური საზოგადოების აღსადგენად“.

კომინტერნას აღმასკომის პლენუმმა უკუაგდო ოპოზიციის აშკარა იერიში კომინტერნის ლენინურ მთლიანობაზე. მაგრამ რამდენათაც კომინტერნი არაა დაზღვეული ოპოზიციის ახალი გალაშქრებისაგან მის წინააღმდეგ, პლენუმმა დაავალა კომინტერნის ყველა სექციებს აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ სკპ (ბ)-ში და მისი მომხრეების წინააღმდეგ სხვა კომპარტიებში, რათა დაცულ იქნას კომუნისტური ინტერნაციონალის იოეური და ორგანიზაციული მთლიანობა.“

ოპოზიციამ ვერ შესძლო შეერყია სკპ (ბ)-ს ლენინური მთლიანობა. ვერ შესძლებს ის უთანხმოების შეტანას კომინტერნის დანარჩენ ლენინურ რიგებშიაც.

„კრ. ვ.“

## მდგომარეობა ჩინეთში

### იმპერიალისტები მზად არიან იცნან კანტონი

#### მტაცებლები და კანტონი

ინგლისმა შესცვალა თავისი დამოკიდებულება კანტონთან. როგორც იტყობინებიან, კანტონის მთავრობის ცნობა რამოდენიმე დღის საქმეა.

#### კანტონელები წინ მიიწევენ

ხმებია, რომ კანტონის ჯარებმა დაიკავეს ჩეუ-ცზიანის დედაქალაქი.

#### განხეთქილება ჩან-ძო-ლინის ბანაკში

ხმები დადის, რომ ჩან-ძო-ლინისა და უ-პეი-ფუს ჯარებს შორის მოხდა შეტაკება.

გლეხობა არ ღებულობს ჩან-ძო-ლინის მიერ გამოშვებულ ქაღალდის ფულებს.

## 1.506.000 უმუშევარი ინგლისში

ინგლისის უმუშევართა რიცხვი 6 დეკემბრისთვის უდრიდა 1 მილიონ 506 ათას კაცს, ე. ი. 400 ათასით მეტს, ვიდრე მთამადნის მუშათა გაფიცვამდე იყო.

## ახალი გამოსვლა სსრკ-ს წინააღმდეგ

#### ბურჟუაზია ემუქრება კუკს

ინგლისის კონსერვატორები მოითხოვენ მთავრობისაგან შეწყვეტილ იქნას კავშირი საბჭოთა კავშირთან. ამ მოთხოვნაზე მთავრობის სახელით ბალდუინმა უპასუხა, რომ მთავრობა ეძებს ამისთვის საბაბსო.

ბურჟუაზიული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ მოუწოდებს ინგლისის მენშევიკური პარტიის ბელადებს გაუსწორდენ მთამადნელთა კავშირის მდივანს კუკს, მისი გამოსვლებისთვის მოსკოვში.

## საბჭოთა კავშირში

### კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე

#### პლენუმმა გაჰკიცხა სკპ (ბ) ს ოპოზიცია

15 დეკემბერის საღამოს სხდომაზე ამხ. ტელმანმა სხვადასხვა ქვეყნის კომპარტიების სახელით წაიკითხა რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული (ერთმა თავი შეიკავა). რეზოლიუციაში პლენუმი უწოდებს სკპ (ბ)-ს ოპოზიციას მემარჯვენე საშიშროებას. პლენუმი ამტკიცებს მე-15 პარტკონფერენციის რეზოლიუციას ოპოზიციურ ბლოკის შესახებ, რომელიც ჰკიცხავს ოპოზიციურ ბლოკის პლატფორმასა და მუშაობას, როგორც სოციალ-დემოკრატიული განხრის გამოხატულებასა და საფრთხეს სკპ(ბ)-ს მთლიანობისათვის.

### სასტიკად ჰკიცხავენ ოპოზიციის გამოსვლებს

საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან მოდის დეპეშები იმის შესახებ, რომ საგუბერნიო კომიტეტის და პარტორ.განიზაციების კრებებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომელშიაც სასტიკად ჰკიცხავენ ოპოზიციის ბელადების ახალ გამოსვლას აღმასკომის პლენუმზე.

## ამიერკავკასიის ცაკის მე-3 სესიის დახურვა

#### 14 დეკემბრის უკანასკნელი სხდომა

14 დეკემბერს ამხ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით შესდგა სესიის უკანასკნელი სხდომა.

სესიამ დაადგინა დამტკიცებულ იქნას ამიერ კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ მეორე და მესამე სესიებს შორის მიღებული დეკრეტები და დადგენილებები.

#### მისალმება წითელ არმიას

წითელი არმიის ნაწილებზე მისასალმებლად განჯაში გაიგზავნა დელეგაცია ამხ. ხანოიანის მეთაურობით.

#### საჩუქარი ქალაქს

სესიამ მიიღო დადგენილება დაავალოს ამიერკავკასიის ცაკს რათა მან მომავალ წელში გასცეს თანხა განჯის კულტურულ დაწესებულებების მოსაწყობად,

ამხ. ცხაკაიამ წინადადება შეიტანა მიენდოს პრეზიდიუმს სესიის სახელზე შემოსულ გლეხებისა და მუშების საჩივრების განხილვა.

14 დეკემბერს სესიის დელეგატები ჯგუფებად გაემგზავრენ განჯის მაზრაში.

### სესიის შედეგები

#### ამხ ალამალი-ოღლის განცხადება

ა. კ. ცაკისა და აზერბ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ალამალი-ოღლიმ განაცხადა:

„გარდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა, სესიის მუშაობამ დიდი შედეგები მოიტანა ეკონომიურ და სამეურნეო საკითხებში.

სესიამ სიმხნევე და აღფრთოვანება შეიტანა წითელი განჯის ცხოვრებაში, რომელიც უფრო და უფრო რევოლიუციონერდება“.

## საქართველოში.

#### წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ახალქალაქის მაზრაში გახსნილია 90 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წერტი. ამ დღეებში წერკუმსი ხსნის თავის ხარჯზე 4 წერტს.

#### დახმარება ღარიბ გლეხობას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გაუგზავნა ახალციხის საკრედიტო ამხანაგობებს სესხი 7 ათას ექვსასი მანეთი, სტიქიურ უბედურებით დაზარელებულ ღარიბეს გლეხთა დასახმარებლად.

#### აღწერა

საქართველოს სხვადასხვა მაზრებში უკვე დაიწყო მოსახლეობის აღწერა. ფოთის რაიონში აღწერას ხელს უშლის წვიმები დე ქარიშხალი.

# ოპოზიციის ახალი გამოსვლა.

### კ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. რატნეკის მოხსენებიდან ტფილისის გარნიზონის პარტ-აქტივის კრებაზე.

**კამათი უბრალო საკით ხებზე კი არ არის**

ამხ. რატნეკი აღნიშნავს ოპოზიციის უკანასკნელ გამოსვლას კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე და ამბობს, რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ უკანასკნელი გამოსვლის შინაარსი. ვიკითხოთ, რა უნდა ოპოზიციას ამ გამოსვლით? დღეს აშკარაა იმათთვისაც კი, ვინც დღემდის მერყეობდა, რომ კამათი მიდის არა უბრალო რამეზე, არამედ ჩვენი აღმშენებლობის ძირითად საკითხებზე, ლენინიზმის ძირითად საკითხებზე.

**ოპოზიციის სიტყვა და საქმე.**

როგორ გავიგოთ ოპოზიციის გამოსვლა 16 ოქტომბრის განცხადების შემდეგ? ნუ თუ დაავიწყდა ოპოზიციას ეს მათი განცხადება? ჩვენ არ ვიტყუებდით თავს იმედით, რომ ოპოზიცია არ გაიმეორებდა გამოსვლას. განცხადებაშიაც კი იყო ნათქვამი, რომ „ის გააგრძელებდა იდეურ ბრძოლას წესდების ფარგლებში“. მაგრამ შეიძლებოდა დანდობოდი თუ არა პარტიულ სინდისს, ოპოზიციის ალ მოსაზრებას მაინც, რომ ის არ გამოვიდოდა ისეთი დამარცხების შემდეგ, რომელიც მან იგემა.

რასაკვირველია, ოპოზიციასა და პარტიის თვითეულ წევრს უფლება ჰქონდა დაესვა ეს საკითხი კომინტერნში. მაგრამ აქ საკითხი არა ფორმალურ მხარეზეა. არსებითად ეს არის მთელი ოპოზიციურ მიმართულებების ხელმძღვანელობის ცდა საერთაშორისო მასშტაბით.

მე-13 კონფერენციის შემდეგ რომ თვით ტროცკიმ უარყო ამ საკითხის კომინტერნში გამოტანა. მაშინ მას ესმოდა, რომ პარტიის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ კი არ უნდა იბრძოლონ, არამედ უნდა აასრულონ ისინი. მართალია ზინოვიევმა განაცხადა, რომ ოპოზიციას ამ ჟამად კომინტერნში კი არ შექვს საჩივარი, არამედ „განმარტებას იძლევა“. მაგრამ ეს, რასაკვირველია, ბავშური კეკლუცობიაა, მით უფრო 16 ოქტომბრის განცხადების შემდეგ. პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეებში ოპოზიცია აფურთხებდა პარტიის გადაწყვეტილებებსა და პარტდისციპლინას. დღეს, როგორც სჩანს, ის აფურთხებს თავის განცხადებასაც! გამოდის, რომ თავის განცხადებას ისე უყურებს ოპოზიცია, როგორც უბრალო ქაღალდს.

**ოპოზიციის გამოსვლის მიზანი.**

მე-15 პარტკონფერენციაზე ოპოზიციამ არ სთქვა ყველაფერი, რის თქმაც უნდოდა. ეხლა მან ყველაფერი სთქვა. ვითომ რატომ, უკეთესი დრო დაუდგა ოპოზიციას? არა. უცხოელ დელეგატებიდან მხოლოდ ერთი ოპოზიციონერი გამოვიდა პლენუმზე.

ზოგიერთი ამხანაგები ჰკვირობენ: რატომაა ასეთი გაცხარება ბრძოლაში? მაგრამ საკითხი ეხება არა წვრილმანებს, არამედ ჩვენი აღმშენებლობის ძირითად საკითხებს. და თუ რომ ოპოზიციის სიტყვებს, განსაკუთრებით იმ სიტყვებს, რომლებიც მან წარმოსთქვა პლენუმზე, ღრმად ჩაუკვირდებით, გამოდის, რომ ოპოზიცია ყოველი საშუალებით უნდა ებრძოლოს პარტიას და, მაშასადამე, ოპოზიციის სიტყვები შეთანხმებულ მუშაობის შესახებ—ცარიელი სიტყვებია.

რატომ გამოვიდა ოპოზიცია ხელახლა?

**იმიტომ რომ უნდოდა გაეგო მომხრეთა რაოდენობა ჩვენი პარტიის შიგნით და მის გარედ. ეს იყო ცდა შეექმნათ ბრძოლის საერთაშორისო პლატფორმა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ.**

უეჭველია, ოპოზიციის გამოსვლას გამოეხმაურებიან სოციალ-დემოკრატიისა და ბურჟუაზიის ბანაკებიდან.

**ოპოზიცია დაცურდა ტროცკიზმამდე.**

ოპოზიციას ყველაზე უფრო არ ესიამოვნა ის, რომ პარტიამ ბრალი დასდო მას სოციალდემოკრატიულ განხრაში. სიტყვით, ოპოზიციის ბელადებიდან არავის არ უნდა რაიმე საერთო ჰქონდეს სოციალ-დემოკრატიულ განხრასთან, მაგრამ საქმე არა სიტყვებსა და კეთილ სურვილებშია.

ქვევით ამხ. რატნეკი არჩევს ამხ. ამხ. ზინოვიევის, ტროცკისა და კამენევის გამოსვლებს პლენუმზე და აღნიშნავს, რომ ოპოზიცია სავსებით დაცურდა ტროცკიზმამდე, რომ ტროცკი ოპოზიციის იდეური ბელადია. ახლა ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი განვითარების ორ ხაზთან. პარტიის ხაზი: ჩვენ ავიღეთ ძალაუფლება ოქტომბერში, რომ აგვეშენებია სოციალიზმი, ჩვენ მას ვაშენებთ და ავაშენებთ. მეორე ხაზი—ოპოზიციის ხაზია. მისთვის ჩვენი ხაზი დაპოუკიდებელ არსებობისადმი—ოცნებაა. ჩვენი სოციალისტური როგორც საერთაშორისო რევოლიუციის ბაზის აღმშენებლობა, ოპოზიციას არ სწამს. ამ მეორე ხაზს მხურვალედ ესალმება ჩვენი მტერი—სოციალდემოკრატია.

**მეტი ყურადღება ლენინიზმის ძირითად საკითხებს.**

ოპოზიციას დღეს სურს გადაიტანოს ბრძოლა კომინტერნში, აწარმოოს ეს ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბით. მაგრამ ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ის ვერაფრის გაკეთებას ვერ შესძლებს. მაგრამ ეს გვიკარნახებს მაინც მეტი ყურადღებით მოვეპყრათ ლენინიზმის ძირითად საკითხებს. პარტიის თვითეულმა წევრმა კარგად უნდა გაერკვეს ბრძოლის ძირითად საკითხებში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ადგილი არ ექნეს „კაზიონურ“ მიდგომას პარტიის გადაწყვეტილებათა შესწავლაში. ჩვენმა აქტივმა უნდა გააცნოს ყოველთვის მთელ პარტორგანიზაციას ყველაფერი, რაც პარტიაში ხდება და კეთდება, რათა პარტიის თვითეულ წევრს შეეძლოს მონაწილეობა პარტიის ხაზის გამომუშავებაში.

ოპოზიციის გამოსვლამ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე დაეხმარა პარტიას გამოერკვია ოპოზიციის ნამდვილი განზრახვები.

მათი გამოსვლა ჩვენ არ გვაშინებს. ჩვენი მეურნეობის ზრდა და განმტკიცება არის და იქნება მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის შეუდრეკი ბაზა.

**კამათი მოხსენების გარშემო**

კამათში ამხ. რატნეკის მოხსენების გარშემო გამოვიდნენ ამხ. ამხ. ლედნევი, ჩაიკოვსკი, ტაქტაევი, ლიფშიცი, ნაძეოზელი, ავაკუმოვი და ვოლოშინი.

ყველა ამხანაგები ერთსულოვნად ჰკიცხავდნენ ოპოზიციის ახალ გამოსვლას, როგორც ცდებს გადეტანათ ფრაქციული ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე.

ამხანაგები აღნიშნავდნენ აგრეთვე, რომ ეს გამოსვლა უფრო ნათელ წარმოდგენას აძლევს რიგის პარტიულებს ოპოზიციის სოციალდემოკრატიულ გახხრის შესახებ, რომელიც შორდება პარტიის ხაზს ყველა ძირითად საკითხებში—ჩვენი რევოლიუციის ხასიათისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ.

შემდეგ მიუთითებდნენ, რათა მეტი ყურადღება მიექცეს მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა დამუშავებას.

## რეზოლიუცია ამხ. რატნეკის მოხსენების გარშემო.

ტფილისის გარნიზონის ნაწილების პარტაქტივის ყრილობა სასტიკად ჰკიცხავს ოპოზიციური ბლოკის ბელადების—ამხ. ამხ. ზინოვიევის, ტროცკისა და კამენევის ახალ გამოსვლებს კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე.

გაკოტრებულ ლიდერების ფარისევლური გამოსვლები აშკარად მიმართულია სკპ(ბ)-ს მე-14 ყრილობისა და მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა ჩასაშლელად. მათი გამოსვლები პლენუმზე ცდაა შეჰქმნან საერთაშორისო პლატფორმა სკპ(ბ)-სა და კომინტერნის ყველა ოპოზიციურ და ნახევრად მტრულად განწყობილ ელემენტებისთვის, შეასუსტონ სკპ(ბ) ს, როგორც კომინტერნის მოწინავე რაზმის ხელმძღვანელური როლი.

კრება სასტიკად ჰკიცხავს ზინოვიევის, ტროცკისა და კამენევის ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია ფრაქციული ბრძოლის გათვლიძებისაკენ და მისი დემონსტრატიულად გადატანისაკენ საერთაშორისო ასპარეზზე. კრება გამოსთქვამს პროტესტს ოპოზიციის მიერ 16 ოქტომბრის თარიღით მოცემულ სიტყვის აშკარა დარღვევის წინააღმდეგ.

უკანასკნელი გამოსვლა ოპოზიციონერების ახალი ნაბიჯია ოპორტუნისტულ ჭაობისკენ და უფრო ნათლად ააშკარავებს მის სოციალ-დემოკრატიულ განხრას.

კრება დარწმუნებულია, რომ ასეთი ცდები სხვა ქვეყნებში დაეჯახება კომინტერნის მოძმე კომპარტიების ისეთ ბოლშევიკურ კედელს, როგორც სკპ(ბ)-ში.

გაუმარჯოს კომინტერნის ლენინურ აღმასკომს!

გაუმარჯოს კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი მოწინავე რაზმის—სკპ(ბ)-ს შეურყეველ მთლიანობას!

# მეთაური წითელ არმიელის უფროსი და აღმზრდელია

**წითელ არმიელი და მეთაური საპატიო სამსახურს ეწევიან მუშებისა და გლეხების დასაცავად, ამაზეა დამყარებული მათი ამხანაგური კავშირი და შეთანხმებული მუშაობა, ამაშია წითელ არმიის ძლიერება.**

**ახალგაზრდა წითელ არმიელი ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს მეთაურთა შემადგენლობის მუშაობას, უსიტყვოთ ასრულებდეს მუშებისა და გლეხების ხელისუფლების მიერ დანიშნულ უფროსების განკარგულებებს.**

## წითელ არმიელი და მეთაური

ზოგიერთი წითელ არმიელი ფიქრობს, რომ მეთაური ვალდებულია მხოლოდ მოითხოვოს წითელ არმიელისაგან წესდების წესებისა და მის მიერ გაცემულ ბრძანებისა და განკარგულების ასრულება, ხოლო თვითონ მეთაური კი წითელ არმიელის მიმართ არაფრით ვალდებული არ არის.

ეს არ არის სწორი.

მეთაური უნდა მოითხოვდეს თავის ხელქვეითისაგან წესდებისა და განკარგულების ასრულებას, მაგრამ ამისთვის კი საჭიროა, როგორც დისციპლინარული წესდება გვეუბნება „თვითონ იყოს კანონისა და წესდების სწორი აღმსრულებლის მაგალითი.

თვითეულ უშუალო უფროსმა კარგად უნდა შეისწავლოს და იცოდეს თავისი ხელქვეითი. მან უნდა იცოდეს ხელქვეითის არა მარტო გვარი, არამედ მისი გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური თვისებები, მისი ოჯახური, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა, საქმიანობა სამხედრო სამსახურამდი, ჯანმრთელობა, საქციელი, სამსახურის უნარი და სხვა, რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება.

პირად, არასამსახურის საქმეზე თვითეულ წითელ არმიელს შეუძლია მეთაურს და თვითეული მეთაური ვალდებულია შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მას.

გარდა ამისა თვითეული უფროსი ვალდებულია იზრუნოს ხელქვეითზე, რომ ის თავის დროზე და სრულიად დაკმაყოფილებულ იქნას კუთვნილი კმაყოფით: ტანსაცმელით, საწოლი მოწყობილობით, საჭმელით და სხვა, იზრუნოს ყაზარმის უკეთ მოწყობაზე, თვალყური ადევნოს, რათა ყველა თანაბრად ინიშნებოდეს განრიგებაში, სამუშაოზე და სხვა.

აქედან ცხადია, რომ მეთაური არა მარტო მოითხოვს ხელქვეითისაგან წესდებისა და განკარგულების ასრულებას, არამედ თვითონაც ასრულებს დიდ და საპასუხისმგებლო ვალდებულებებს თავის ხელქვეითის მიმართ.

ზოგჯერ, რასაკვირველია, მოხდება ხოლმე, რომ მეთაური უშვებს რაიმე შეცდომას ხელქვეითის მიმართ. ამ არასასურველ მოვლენის აღმოფხვრაში წითელ არმიელები დაეხმარებიან მეთაურს, თუ რომ ისინი მეტი დისციპლინიანი იქნებიან, თუ რომ ისინი ეცდებიან არ დაარღვიონ წესდების მოთხოვნილებები და სწრაფად აასრულონ მეთაურის განკარგულებები.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ყოველგვარ გაუგებრობის მოსპობა, მეთაურისა და წ. არმიელის შეთანხმებული მუშაობა წითელი არმიის განმტკიცების საქმეში.

**ძველი წითელ არმიელი.**

## სისწორით შეასრულე უფროსის ბრძანებები,

### როგორ უნდა მოვექცეთ უკანონო და დანაშაულებრივი ხასიათის ბრძანებებს.

წითელ არმიაში ბრძანებების თავის დროზე და სისწორით შესრულება უდიდეს როლს თამაშობს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ომში. იქ ბრძანების არა თავის დროზე და უსწოროდ შესრულების გამო ასეული ადამიანები იღუპება.

წითელი არმიის კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას. 1919 წელს, წითელ არმიის ერთი ათასეული იმყოფებოდა ალყის შემორტყმის საშიშროების ქვეშ. ლეგიონის უფროსმა გაუგზავნა ამის შესახებ ბრძანება მეზობლად მდგარ ათასეულის უფროსს. ბრძანება გაგზავნილი იქნა წითელი არმიელის ხელით. წითელარმიელმა გზაზე შეიარა ერთ სოფელში შესანაყრებლად, და ბრძანების ჩაბარება ამნაირად დაგვიანდა 15 წუთით. ამის შედეგი კი ის იყო, რომ 1-ლ ათასეულს ალყა შემოარტყა მოწინააღმდეგემ და ერთთავად გაანადგურა. ამნაირად დაიღუპა 600-ზე მეტი კაცი.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ბრძანებების თავის დროზე და სისწორით შესრულებას მშვიდობიან დროს. მშვიდობიან დროს ჩვენ ვემზადებით ომისთვის. მაშასადამე ყველაფერი ისე უნდა იქნეს შესრულებული, როგორც ეს საჭირო იქნება ომის დროს. არმია ომისთვის უნდა იყოს მზად მშვიდობიან დროს, რადგან ჩვენ უზრუნველყოფილი არა ვართ იმისგან, რომ ხვალ მტერი არ დაგვესხმება თავს.

წითელარმიელი უნდა ასრულებდეს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის ყოველგვარ ბრძანებებს.

ბრძანება არ უნდა შესრულდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ის აშკარა დანაშაულებრივი ხასიათისაა, მაგალითად, წითელ-არმიელი ღებულობს უფროსისაგან განკარგულებას შენობის დაწვის, საკუთარი საწყობის აფეთქების შესახებ და სხვა. ასეთ შემთხვევაში დაქვემდებარებული არ ასრულებს ბრძანებას, არამედ სასწრაფოდ აცნობებს ამის შესახებ იმას, ვისაც ექვემდებარება ბრძანების გამცემი.

თუ დაქვემდებარებული ღებულობს უფროსისაგან არა კანონიერ ბრძანებას, ის მოახსენებს რა ბრძანების გამცემს, ბრძანების უკანონობის შესახებ, მაინც ასრულებს მას და ამის შესახებ შემდეგ მოახსენებს უფროსობით.

ასეთი ბრძანებები შეიძლება იყოს შემდეგი: წითელარმიელი, რომელიც მედღეურედ სდგას საგუშაგოზე, ღებულობს ბრძანებას უფროსისაგან საგუშაგოს დატოვების შესახებ შემცვლელის მოუსვლელად. ან უფროსი ავალებს წითელარმიელს რაიმე სამუშაოს შესრულებას თავის პირად მიზნებისათვის. ეს ბრძანებებიც უნდა შეასრულოს პირველად წითელარმიელმა, ხოლო შემდეგ კი აუცილებლად აცნობოს ამის შესახებ უმაღლეს სარდლობას.

**განყ. უფროსი ს.**

## ყოფილი სალდათის მოგონება

### (მეფის ყაზარმის ცხოვრებიდან)

ზამთრის სასტიკი ყინვიანი და ბურუსიანი დღე იყო, როცა ჩვენ ახლად გაწვეული ჯარის კაცები კრასნო სელოში (ლენინგრადის ახლოს) მივედით. ეს იყო 1915 წელში. ჩვენს რონოდებს ჩამოუარეს რუხვი შინელიან ჯარის კაცებმა, რომლებიც გაიძახოდენ:

— ჩქარა რონოდებიდან!

ჩვენ ავიკიდეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა, გამოვედით რონოდებიდან და შევჯგუფდით.

გამხდარმა უნტერ ოფიცერმა განკარგულება გასცა:—ოთხად დადექით. ნაბიჯით იარ!

მივდიოდით თოვლიანი გზით, სწრაფი ნაბიჯით, მძიმედ ვსუნთქავდით. ორივ მხრით იდგა სახლები, შემდეგ სახლები გაჰქრა, შევედით ტყეში, გავიარეთ ისიც და მივადექით ყაზარმებს.

ღამდებოდა.

სამი საათი ვიდექით. ბოლოს გამოვიდა ოფიცერი და ორი უნტერ ოფიცერი. ერთმა უნტერმა დაიძახა:

— დადექით, სმენაა!

ოფიცერი მოგვიახლოვდა და მოგვესალმა:

— გამარჯობა ბიჭებო!

— გაუმარჯოს.

ცალ-ცალკე გამოგვივიდა პასუხი.

— ინდაურებო! პასუხი არ შეგიძლიათ. დაცინვით და ხმამაღლა წარმოსთქვა ოფიცერმა. მისმინეთ თქვე ზაქებო! თქვენ დანიშნული ხართ ჩემს ასეულში. მე თქვენ ნუ მეხუმრებით. ლარივით უნდა იყოთ გაჭიმული. გეტყვით მოკვდი—უნდა მოკვდეთ. არ აასრულებთ,—მე ვიცი... გაიგეთ?

ასე შეგვხდენ ახალ გაწვეულებს ნაწილში.

სამი დღის შემდეგ, ჩვენ გამოგვიყვანეს სამეცადინეო მინდორზე. ასეულის უფროსმა გამოგვიცხადა, რომ უნდა მოვიდეს მისი მაღალკეთილშობილება ათასეულის უფროსი. მან უბრძანა ფელდფებელს:

— ასწავლე მისალმებაზე პასუხის მიცემა!... და წავიდა. ერთი საათის განმავლობაში მოვიდა ათასეულის უფროსი, დაბალი, მხარბეჭიანი პოლკოვნიკი.

არ მოეწონა მას ჩვენი პასუხი მისალმებაზე ერთი შემოგვიკურთხა რუსულ ყაიდაზე და რატომღაც „ორსული დედაკაცები“ გვიწოდა.

დასრულდა მისი მოსვლა „საჩივრების დაკითხვით“.

ეფრეიტორებიდან დაწყებული ასეულის უფროსამდი განზე გაიყვანეს. ჩვენ გვიბრძანა შევჯგუფულიყავით მის გარშემო.

— მითხარით ვინ რითაა უკმაყოფილო... ნუ გეშინიათ. სთქვით ვისაც რა გაქვთ სათქმელი.

— სიცივეა ყაზარმაში, — წარმოსთქვა ვიღაცამ უკანა რიგებიდან.

—კიდევ – იკითხა პოლკოვნიკმა.

— მე ოცეულის უფროსმა გამარტყა...

— კიდევ?—განაგრძობდა კითხვას პოლკოვნიკი.

— მე ავად ვარ და ქსენონში არ მიშვებენ.

— კიდევ?—კვლავ გაისმა კითხვა, მაგრამ უფრო ამაღლებული ხმით, რაჰაც ყველას ხმა გააკმენდია. პოლკოვნიკმა თვალები გადაგვავლო, გაიცინა.

— მაშ ასე. მისმინეთ თქვენ დედა... ყაზარმაში რომ სითბო იყოს, —ჩქარ-ჩქარა ისუნთქეთ. ოცეულის უფროსი საქმისთვის გცემთ. ქსენონში თუ არ გაგიშვეს, სჩანს არაფერი გტკივა. მეორე ჯერ ასეთი პასუხისთვის მე თქვენ გიჩვენებთ. შეგიძლიათ დაიშალოთ.

**გ—ი.**

# ახალგაზრდა მებრძოლების ცხოვრება და სწავლება

## ისევეს არც ჩვენ ჩამოვრჩებით

**ს მხ. დრო გოსპიტალი**

ახალწვეულები ჩვენს გოსპიტალსაც ეწვიენ. მათი კარან-...ნში ყოფნის დროს სისტემატიურად სწარმოებდა სანიტა-...ლი ლექციები და საუბრები სამხედრო საქმესა და სამსა-...რის შესახებ. ყაზარმაში მათი გადმოყვანის შემდეგ კიდევ ...ვრო გაცხოველდა მუშაობა. შეივსო დაცარიელებული წრე-...ი და დაიწყო საერთო საქმიანი მუშაობა. უკვე მოხდა მა-...ი დაყოფა წერა-კითხვის მცოდნეთა და უცოდინართა ჯგუ-...ბში. წერა-კითხვის შესწავლა უკვე დააწყებიეს უცოდინა-...ებს, რომლებიც დიდი ინტერესით ეკიდებიან მეცადინე-...ბას.

ალ. ზიბზიბაძე

## ამხედრო საქმე ძლიერ აინტარესებთ

**ცხენ. ლეგიონი.**

პირველ დეკემბრიდან დაიწყო ...ენს ნაწილში სისტემატიური მე-...დინეობა ახალ-წვეულებთან; ...ვე განაწილებულია შტაბის მიერ ...მეცნიერო საათები. ყველა ახალ ...ეულები გულმოდგინეთ და ენე-...იულად ეკიდებიან სამხედრო ...ქმის შესწავლას. მათი სურვილი ...ხედრო ცოდნის შეძენის მხრივ ...ნდათან ვითარდება. ახალწვეუ-...ებმა უკვე თოფებზე და ცხენებ-... დაიწყეს მეცადინეობა.

...მოაწყვეს ცხენოსნობისათვის მა-...ეები. მონახულია და მოწყობი-...ი სასროლო მოედანიც. ყველას ...ვს სურვილი სასპორტო და საა-...აციო ქიმიურ საქმეების შესწავ-...ისა. ახალწვეულები ხშირად ეკი-...ებიან ძველ წითელ არმიელე-... ჰაერო ნაწილის მნიშვნელობა-..., ომიანობის დროს.

ესკადრონის თავი ხშირად მარ-თავს ბაას ტეხნიკის მომავალი მი-ღწევების ირგვლივ.

ახალწვეულები ბეჯითად ეკიდე-ბიან საქმეს ამ უკანასკნელ ხანე-ბში ახალწვეულებში მეტი მონ-დომებას აქვს ადგილი სამხედრო საქმის კარგად შეთვისების მხრივ და ჩვენი ყურადღებაც სწორედ იმისკენ არის მიპყრობილი, რომ ახალწვეულებმა მიიღონ რაც შეიძლება მეტი ცოდნა ამ საქმეში.

ახალწვეულები მოითხოვენ, რომ ნაწილში იქნეს დაარსებული ფეხ-ბურთთა წრე, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ლეგიონს ყავდეს ერთი ფეხბურთთა წრე. ამ მხრივ ახალწვეულთა მოთხოვნილება კანონიერია.

პ ხ დ რეიშვილი.

## კოლის გარეშე მუშაობა ჩვენთან

**1-ლი ცალკე მესანგრეთ ასეული.**

...გრძელ ვადიან შვებულებაში ...თელ არმიელების გაშვების შე-...ეგ ასეულში შესუსტდა საწრეო ...შაობა, რომელმაც გასტანა 1-ლ ...კემბრამდე. ამ რიცხვიდან კი ...ეულში ჩამოყალიბებული იქნა ...მდეგი წრეები და ჯგუფები: 1. ...მხკორთა წრე, 2. ამიერ კავკა-...ის შემსწავლელთა ჯგუფი, 3. ...რამატიული და 4. სამხედრო ...უფი მონადირეთა კავშირით. ...ჯგუფებში მეცადინეობა მიმდი-...რეობს სისტემატიურად, რომლ-... მუშაობის აღრიცხვა ტარდება ...ოლის გარეშე მუშაობის საალ-...ცხვო ჟურნალში. პრაქტიკული ...შაობა ჯგუფებისა გამოიხატება ...მდეგში: დრამ ჯგუფმა ჩაატარა ერთი საღამო, სამხკორთა წრის დახმარებით სარედაქციო კოლე-გიამ გამოუშვა ნაწილის არსებო-ბის ოთხი წლის თავის აღსანიშ-ნავი კედლის გაზეთი და ჟურნალი „წითელი მესანგრე“. სამხედრო ჯგუფის მიერ იქნა მოწყობილი ყველა ოცეულებში სამხედრო კუ-თხეები. მონადირეთა კავშირს გა-ნზრახული აქვს მოაწყოს ნადი-რობა ახლო მდებარე მიდამოებში.

ამიერ კავკასიის ჯგუფში იქნა ჩატარებული ორი საუბარი, მომავლისათვის მიზნად აქვს დასახუ-ლი დაწვრილებით შეისწავლოს ამიერ კავკასიის გეოგრაფიული მდგომარეობა.

კ—ლია

## მუშაობა გამოცოცხლდა

**მე 3 ლეგ. საკავშირო გუნდი.**

დიდი ხანი არ არის რაც გუნ-დის ძველ წითელ არმიელებს გვერდში ამოგვიდგენ ახალწვეუ-ლები. გამოცოცხლდა—გამხიარუ-ლდა ყაზარმა. ყოველ დღე სისტე-მატიურად სწარმოებს მათთან მე-ცადინეობა. ვასწავლით თოფის აგებულობას, სხვა და სხვა იარა-ღების მნიშვნელობებს, თეორიულ ვარჯიშს და წესდებებს.

სკოლის გარეშე მუშაობა და სასკოლო ნაყოფიერად მიმდინარე-ობს. წერა-კითხვის შესწავლა კა-რგა ხანია დავაწყებიეთ. ყველა ფერს გულმოდგინედ უსმენენ და კარგად ითვისებენ. მეცადინეობა სწარმოებს ჯგუფურად. ხელმძღვა-ნელებს წინასწარ ეძლევათ სათა-ნადო მითითებები შემდეგ ჯგუფე-ბში მეცადინეობის ჩასატარებ-ლად.

ხშირად იმართება: გაზეთის ხმამაღალი კითხვა, პოლიტიკური ომი და სხვა. განსაკუთრებით ძლიერ საინტერესო საყურებელია პოლიტიკური ომი, რომელშიაც ახალწვეულებიც ღებულობენ მონაწილეობას.

ამნაირად გუნდი პირნათლად ასრულებს ყველა დავალებებს ახალწვეულთა აღზრდის საქმეში.

კ. ბ რკალაია.

## დავაარსეთ სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება

**მე 3 ლეგიონი.**

13 დეკემბერს ლეგიონში მოწვეული იქნა ლეგიონის უფ-პოლიტ შემადგენლობისა და უმცროს მეთაურთა გაერთიანე-ბული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება სამხედრო-სამეცნიერო საზოგა-დოების მნიშვნელობასა და მისი ლეგიონში დაარსების აუ-ცილებლობაზე. მომხსენებელი იყო ლეგიონის მეთაური. კრე-ბა ძლიერ დაინტერესა მოხსე-ნებამ და ერთხმად იქნა მიღე-ბული წინადადება, საზოგადო-ების დაარსების შესახებ.

იქვე ჩაეწერენ წევრებად მრა-ვალი ამხანაგები. წრეში წევ-რად შესვლის ნება წითელ-არმიელებსაც აქვთ.

კრებამ სურვილი გამოსთქვა წრის შესახებ შესაფერი ცნო-ბები იქნეს მიწოდებული წი-თელარმიელებისადმი, რათა მა-თაც ჩაეწერონ წევრებად და შეძლებისდაგვარად მიიღონ მო-ნაწილეობა წრის მუშაობაში.

შემდეგ მოხდა წრის გამგეო-ბის არჩევნები.

კ. როყუა.

## ვატარებთ კამპანიებს წვევამდელთა წინასწარ მომზადების მიზნით

**მე 4 ლეგ. მე 8 ასეული.**

ასეულმა უკვე ჩაატარა ადგი-ლობრივ კომკავშირის ორგანიზა-ციებში მოხსენებები იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს წვევა-მდე მზადებას და როგორ უნდა შეხვდეს ამას სოფლის ახალგაზრ-დობა. ამ ჟამად ასეულის წითელ არმიელები გაფაციცებით ემზადე-ბიან ახალწვეულებთან მუშაობისა-თვის. ამის შესახებ შესაფერ ახსნა განმარტებას იძლევიან ნაწილის ხელმძღვანელები.

ჩვენი მუშაობის უმთავრესი ცე-ნტრი გადატანილია სამხედრო კუთხეებში ამჟამად. მართალია ზოგიერთი ეს კუთხეები ათეული ვერსით არის დაცილებული ნაწი-ლიდან, მაგრამ მუშაობას მაინც ვაწარმოებთ იქ შეძლების ფარგ-ლებში. განზრახული გვაქვს ერთ სოფელში კიდევ მოვაწყოთ სამხე-დრო კუთხე.

ცვალებადელები დიდ აქტივო-ბას იჩენენ კუთხეებში მუშაობაში.

კუთხეებისათვის საჭირო იარაღს გვაძლევს ადგილობრივ სამაზრო სამხედრო კომისარიატი.

კაგაჩევი.

## სახელოვანი მოხუცის ექიმ-ვეტერინარ თედორე ვასილის-ძე ლისიცინის 50 წლის იუბილე

ამა წლის 14 ნოემბერს შესრულდა კავკასიის ჯარების ყოფილ სავეტერინარო ინსპექტორის, ამ ჟამად კ. წ. დ. ლაშქრის სამოსწავლო სანალბანდოს მასწავლებლის, სავეტერინარო მეცნიერებათა მაგისტრის თედორე ვასილის-ძე ლისიცინის საექიმო სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე განუწყვეტელი მოღვაწეობის 50 წლის თავი

ამხ. ლისიცინი დაიბადა 1850 წელს ქალ. ტორჟსკში ტვერის გუ-



თ. ვ. ლისიცინი.

ბერნიაში. 1876 წ. მან დაასრულა ხარკოვის სავეტერინარო ინსტიტუტი ექიმ-ვეტერინარის ხარისხით და ამავე წელში შევიდა სამსახურში მე-10 მფრინავ საარტილერიო ლეგიონში. 1887 წ. იგი მივლინებული იყო 1 ნახ. წლის ვადით ხარკოვის სავეტერინარო ინსტიტუტში ქოთაოსა და სხვა გადამდებ სნეულებათა შესასწავლად.

1889 წ. ამხ. ლისიცინმა სახალხოდ ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია: „ცხენის ქოთაოს დიაგნოსტიური მიზნით კატებზე აცრა და მისი პროცესის ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებთან დაკავშირება“ და მიიღო სავეტერინარო მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. შემდეგ ისევ თავის ნაწილში დაბრუნდა და დღემდის სამხედრო უწყებაში სამსახურს განაგრძობს.

წითელი არმიის 1921 წ. ქ. თბილისში შემოსვლისთანავე ამხ. ლისიცინი თავის სურვილისამებრ ქართულ წითელ ბრიგადის სავეტერინარო ლაზარეთის ექიმ-ვეტერინარად დაინიშნა. აქედან იგი ჯერ არმიის სავეტერინარო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გამგის თანაშემწედ გადაიყვანეს, შემდეგ კი არმიის სამოსწავლო სანალბანდოს მასწავლებლად, სადაც იგი დღესაც დაუღალავად და ერთგულად მუშაობს. ამხ. ლისიცინს დიდი ნდობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული, როგორც ვეტ-პერსონალის მხრივ, ისე წითელ არმიელთა შორის, რომლებიც მას „დედუშკა ლისიცინს“ უწოდებენ. ამხ. ლისიცინი დიდი მცოდნეა სავეტერინარო მედიცინისა და ამ მხრივ იგი დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს. გარდა სამაგისტრო დისერტაციისა, რომელსაც ქოთაოსთან ბრძოლის საქმეში დღემდის არ დაუკარგავს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა, მას ბევრი სამეცნიერო ნაწარმოებები და წერილები აქვს მოთავსებული სხვა და სხვა სამეცნიერო-სავეტერინარო ჟურნალებში. ამ მხრივ კარგად იცნობს მას საბჭოთა კავშირის ძველი და ახალი ვეტ-პერსონალი.

ამხ. ლისიცინს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე სავეტერინარო დარგის დამოუკიდებლად აღიარების და გადამდებ ავადმყოფობათა (ქოთაო, საქონლის ჭირის, ციმბირის წყლული) ბრძოლის საქმეშიაც.

ასეთია მოკლედ ამხ. ლისიცინის 50 წ. განუწყვეტელი მოღვაწეობა სავეტერინარო ასპარეზზე. დაუვიწყარად უნდა ჩაითვალოს ეს მოღვაწეობა ყველა იმისათვის, ვისაც ძვირფასად მიაჩნია ვეტერინარია და სავეტერინარო მოღვაწეობა.

19 ამა დეკემბერს კ. წ. დ. არმიისა და ფლოტის სახლში კ. წ. დ. არმიის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთელი ვეტ-პერსონალი ამხ. ლისიცინის 50 წლის მოღვაწეობას ზეიმობს და ღირსიც არის იგი ასეთი დამსახურებული საიუბილეო ზეიმისა.

კ. ფარეიშვილი.

## ჩვენც ჩავებით მოსახლეობის გასამხედროებისათვის მუშაობაში

**მე-5 ლეგ. მე-9 ასეული.**

ასეულმა მოაწყო თავისი ცვალებადლების შეხვედრა. 5 დეკემბერს დილით ადრე ცვალებადელთა ჯგუფები უკვე მოადგა ასეულის ყაზარმას. ისინი მწყობრად მოსდევდენ ნაწილის თემრწმუნებულებს და მხიარულად მოიმღეროდენ.

ასეულის ეზოში მათი თავის შეყრის შემდეგ, გვეწვია აგრეთვე ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაცია სამხედრო ორკესტრით. საერთო შეხვედრისა და მისალმების შემდეგ მოეწყო ყაზარმის დათვალიერება. გაეცნენ ადგილობრივ სამხედრო კუთხეების მუშაობას, რის შემდეგ ეზოში მოეწყო მიტინგი.

მიტინგზე ბევრი ითქვა წითელი არმიის—ტერსისტემის მნიშვნელობის შესახებ, მოსახლეობის გასამხედროების, მოსახლეობისა და წითელი არმიის შორის კავშირისა და სხვათა შესახებ. შემდეგ გამოტანილი იქნა ერთხმად დადგენილება, რათა კიდევ უფრო იქნეს გაძლიერებული მოსახლეობაში სამხედრო მუშაობა.

მიტინგის შემდეგ მოეწყო შეჯიბრი ფეხბურთში. მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის და ასეულის გუნდებმა. გამარჯვება უკანასკნელს დარჩა.

საერთოდ წერტზე დაბრუნების შემდეგ ასეული ენერგიულად ჩაება მოსახლეობის შორის წარმოებულ სამხედრო მუშაობაში. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ასეულის ძალებითა და საშვალებებით მოწყობილი იქნა ოთხი სამხედრო კუთხე სხვა და სხვა სოფლებში. კუთხეებში ყოველ კვირაში მიმდინარეობს მეცადინეობა მიმაგრებული მეთაურების ხელმძღვანელობით.

ვინაიდან ყველა მახლობელი სოფლები ხშირად მოგვმართავენ, რათა მათაც გაუხსნათ სამხედრო კუთხეები და მეთაურთა შემადგენლობა ამისთვის კი არა გვყავს, ათეულს განზრახული აქვს სემინარის მოწყობა და კუთხეებისათვის ხელმძღვანელების მომზადება წითელარმიელებიდან.

ამას გარდა შეფობის ქვეშ გვყავს აყვანილი ერთი სოფელი, რომელსაც განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდები ასეული.

მიმდინარე წელში ჩვენი ნაწილი აუცილებლად დიდ საქმეს შეასრულებს მოსახლეობის გასამხედროების საქმეში.

კალამკ როვი.

## ამხ. მომხმარებ. საზოგ. „ბოეცის“ ორგანოების გადარჩევა.

...ახლო მომავალში დაიწყება სა-...ედრო მომხმარებელ საზოგადო-...ის „ბოეც“-ის („მეომარი“-ს) ...განოების გადარჩევა. ის მეტად ...შვნელოვანი მუშაობა, რომელ-...ც აწარმოებს „ბოეც“-ი ჩვენ ...მხედრო ნაწილებში, მოითხოვს, ...თა გადარჩევის საქმეს მიექ-...ს სათანადო ყურადღება და ...ით გადარჩევები ჩატარდეს ნა-...ფიერად.

...რომ ეს საზოგადოება დიდ სა-...რგებლო მუშაობას აწარმოებს, ... ყველასათვის ცხადია. თითქმის ...ლა სამხედრო ნაწილებში არის ...მოყალიბებული ამ კოოპერატი-...ს განმანაწილებელი დუქნები, ...მელნიც აწვდიან როგორც კო-...პერატივის წევრებს, ისეც ყვე-... მსურველებს, ყოველგვარ სა-...ნელს ხელმისაწვდომ ფასებში. ...დი მუშაობა იქნა „ბოეც“-ის ...ერ ჩატარებული ზაფხულში უფ-...მადგენლობის გამოკვების საქმე-..., საზოგადოებრივი სასადილო-...ის მოწყობის გზით. ის გარე-...ება, რომ უფშემადგენლობის ...უჯეტის 55,5% და წითელარ-...ელთა ბიუჯეტის 72% ხმარდე-... საზ—ბა „ბოეც“-ს, მაჩვენებე-...ა იმისა, რომ უკანასკნელმა ...იპოვა სათანადო ავტორიტეტი და საკმარის ნდობით სარგებლობს თავის წევრთა შორის. გარდა ამისა არა ერთი და ორი ათეული ამხანაგები იქნა მომზადებული ჩვენს ნაწილებში კოოპერატიულ მუშაკებათ, საზოგადოების საკონტროლო-სადუქნო კომისიის მუშაობაში და საკოოპერაციო წრეებში ჩაბმის გზით. „ბოეც“-ის მიერ საკმარისი ყურადღება ექცეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, რაც გამოიხატებოდა კოოპერაციის საკითხების პროპაგანდაში წრეებში, კრებებზე, ლენ-კუთხეების საშვალებით და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს მუშაობა კოოპერატიულ ლიტერატურის გავრცელებასთან დაკავშირებით.

რომ ყოველივე ეს მუშაობა სწორ ნიადაგზე იყო დაყენებული და საეროოდ სწორი იყო ხაზი, ამას ამტკიცებს საზოგადოების საანგარიშო მასალები, საიდანაც ვხედავთ, რომ უკანასკნელ საანგარიშო წელმა მისცა საზოგადოება „ბოეც“-ს მოგება დაახლოებით 100.000 მანეთის რაოდენობით. საზოგადოების მუშაობის წარჩინებითი შედეგები უშუალოდ იყო დამოკიდებული თვითეულ წევრის აქტივობისგან და თვითმოქმედობისგან. ასეთი აქტივობა და თვითმოქმედება უნდა იქნეს გამოჩენილი ეხლაც საზოგადოების ორგანოების გადარჩევების დროს. უნდა იქნეს გამონახული ისეთი ღონისძიებანი და საშვალებები, რომლებიც მისცემენ საზოგადოების ორგანოებს შესაძლებლობას შემდეგშიც აწარმოონ თავის მუშაობა უფრო სარგებლიანად და ნაყოფიერად.

პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი საზოგადოების წევრად 100 პროცენტის უფროსთა და წითელარმიელთა შემადგენლობის ჩაბმის შესახებ. ამავე დროს უნდა მიექცეს ყურადღება უფშემადგენლობის ცოლების საზოგადოების წევრებად ჩაბმის საქმეს, რათა შემდეგში ქალებმაც გადამწყვეტი ხმით მიიღონ მონაწილეობა გადარჩევებში და ამით ჩაებან კოოპერაციის აქტიურ მუშაობაში.

გადარჩევების დროს უნდა მოეთხოვოს საზოგადოების ორგანოებს სრული ანგარიში თავის ფარგლებში მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების შესახებ, სახელდობრ რა მიღწევებია ამ დარგში და რა არის საჭირო კიდევ, რომ მომჭირნეობის რეჟიმმა მოგვცეს უფრო რეალური შედეგები.

საზოგადოების წევრებმა აგრეთვე უნდა მიუთითონ თავის ხელმძღვანელ ორგანოებს იმის შესახებ, რომ კოოპერატიულ განათლების დარგში არ არის წარსულში სრულებით გამოყენებული ყოველგვარი საშვალებები. უმთავრესად სისუსტე ამ მხრივ სჩანდა ქართულ ნაწილებში, რის გამო უნდა მოეთხოვოს მას წითელარმიელებისათვის გასაგებ კოოპერატიულ ლიტერატურის გადათარგმა ქართულ ენაზე; ამით უზრუნველყოფილი იქნება კოოპერატიულ წრეების მუშაობის ნაყოფიერება ქართულ ნაწილში.

საყურადღებოა აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ აქამდის ნაწილებში სუსტი იყო კავშირი სადუქნო კომისიებისა სამხკორთა ორგანიზაციებთან, რის გამო ნაწილებში კოოპერაციის დარგში წარმოებული მუშაობა სუსტად შუქდება არა მარტო გაზ. „წითელ არმიელ“-ში, არამედ ასეულის კედლის გაზეთებშიც. საჭიროა, რომ ამ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება მომავალ გადარჩევების დროს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გადარჩევებს საკოოპერაციო მუშაობაში ახალ ძალების ჩათრევისათვის. საჭიროა, რომ სადუქნოსაკონტროლო კომისიების და რწმუნებულების შემადგენლობაში მოხვდნენ რიგის წითელარმიელებიც, რომელნიც შემდეგ მიღებულ გამოცდილებას გადაიტანენ სოფლად. კოოპერაციის გაძლიერება კი სოფლად პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

ი. რუდოვსკი.

# სამხკორის კუთხე

## რას უნდა მიექცეს კორესპონდენციის წერის დროს ყურადღება?

### ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხები

კორესპონდენცია მხოლოდ მაშინ არის საინტერესო გაზეთისა და მკითხველისათვის, როდესაც ის აშუქებს დღიურ საჭირბოროტო საკითხს, ე. ი. როდესაც ის აშუქებს ნაწილში უახლოეს ხანში მომხდარ მოვლენას.

რა ძოუვიდოდა იმ გაზეთს, რომელიც გააშუქებდა გასული წლის მოვლენებს ნაწილში? არავინ მას არ წაიკითხავს, არავისათვის ის საინტერესო არ იქნებოდა. თუ ნაწილში მომხდარ მოვლენამ დაჰკარგა დღიური მნიშვნელობა და სიახლე, სჯობს სულ არაფერი არ დაიწეროს იმის შესახებ.

ხშირად არის, რომ ჩვენი კორესპონდენტები ზოგადი ფრაზების მეტს არაფერს სწერენ. დავიწყებულია ნაწილში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა ასეთი წერილების მიღება რედაქციაში, ახალწვეულების მიღებისა და მათთან მუშაობის შესახებ. წერილები სავსეა ზოგადი-ბაბლობ. ფრაზებით.

მოვიყვანოთ ამონაწერი № კორესპონდენტის ერთი წერილიდან:

„ახალგაზრდა წითელ არმიელები მთელ თავისუფალ დროს ლენინის კუთხეში ატარებენ. ძველი წითელ არმიელები უხსნიან მათ ყველა მათთვის საინტერესო საკითხებს".

ასეთი წერილები ბლომად მოსდის რედაქციას. მათში არაფერი არ არის ნითქვამი გარ და ზოგადი ფრაზებისა. როგორი საინტერესო ცნობები შეიძლება მიაწვდინოს სამხკორმა ამ მოვლენიდან რედაქციას?

როგორ საკითხებს აყენებენ ახალწვეულები, რით არიან ისინი დაინტერესებული. აი ეს არა სჩანს კორესპონდენციებში.

მთელი ყურადღება იქეთკენ უნდა იქნეს გადატანილი, რომ კორესპონდენცია მეტ ფაქტიურ მასალასა და საინტერესო ცნობებს იძლეოდეს. ამას უნდა მიაღწიონ ჩვენმა სამხკორებმა.

ს.

# უცხოეთის არმიებში

## იაპონელი ჯარისკაცი მონა არის.

ჯერ კიდევ დაბალ სკოლებშივე უნერგავენ იაპონელს იმპერატორისადმი მორჩილებასა და ერთგულებას, უნერგავენ რწმენას, რომ ჯარისკაცს სიცოცხლე მიცემული აქვს იმპერატორისათვის. მაგრამ სალდათიდან იმპერატორამდე გზა გრძელია. უნტერ-ოფიცერი, ოფიცერი და სხვა, რომელთა საშუალებით უნდა გამოსთქვას და დაამტკიცოს მან თავისი სიყვარული და ერთგულება იმპერატორისადმი. როგორ ცხოვრობენ იაპონიის სალდათი და ოფიცერი?

ყაზარმაში უნტეროფიცრები (უმცროსი ოფიცრები) ჯარისკაცებისაგან განცალკევებით არიან მოთავსებული. თვითეულ უნტეროფიცერს (ოფიცრებზე ლაპარაკი ზედმეტია) ჰყავს საკუთარი „დენშჩიკი", რომელიც უწმენდს ფეხსაცმელებს, ამუნიციას, ეგზავნება ერთი საქმეზე და სხვა. ასეთი „დენშჩიკის" მდგომარეობა უფრო ცუდია, თუ მის „ბატონს" ცხენი ჰყავს. ამ შემთხვევაში ის არა მარტო თავის ბატონსა და ცხენს უვლის, არამედ დას დევს მას ყოველგან ქვეითად, და როცა ბატონი გაუშვებს ცხენს ჩორთით, „დენშჩიკმა" რაც ძალი და ღონე აქვს, უნდა ირბინოს.

უნტეროფიცერი სასტიკ კონტროლს უწევს სალდათის პირად ცხოვრებას. მაგ. ზოგიერთ ლეგიონში ჯარისკაცს არ აქვს უფლება იქონიოს ყაზარმაში ერთ მანეთზე მეტი. თავის „გასართობად" ჯარისკაცს შეუძლია დახარჯოს თავის ჯამაგირის მხოლოდ ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარზე უნდა წარადგინოს ანგარიში, თუ რა საჭიროებაზე დახარჯა. უნტეროფიცერი სწერს დღიურს, რომლის მიხედვით უფროსები ადგენენ შეხედულებას თავიანთ ქვეშევრდომების შესახებ.

სასტიკი განსხვავება ოფიცერსა და ჯარისკაცს შორის დიდ გავლენას ახდენს მათ ურთიერთ დამოკიდებულებაზე. უკანასკნელ დროს ხშირია შემთხვევა ოფიცრის შეურაცყოფისა. იყო ოფიცრის მოკვლის შემთხვევა. ჯარისკაცის აღზრდა ემყარება საოცნებობას, იმპერატორის გაღმერთებას და დისციპლინას, რომელიც უკვე იწყებს ღელვას.

ვ. ნ.

# სანიტარულ დასის წარმოდგენები

მეორე წელიწადია, რაც დაიწყო მუშაობა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულმა სანიტარულ-საგიტაციო თეატრმა, რომლის მიზანია გავრცელება მუშათა ფართო მასებში სანიტარულ ცოდნის.

ხსენებული თეატრი განვლილ წელში სისტემატიურად მართავდა უფასო წარმოდგენებს ქართულ ჯარების ნაწილებში და ცენტრალურ კლუბში. წარმოდგენებს ყოველთვის მრავლად ესწრებოდა წითელარმიელები და მეთაურები. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად ყოფილა მოთავსებული წითელარმიელთა წერილები, რომლებშიაც გამოსთქვამდნენ კმაყოფილებას სანიტარულ წარმოდგენების გამართვით.

წრეულ სანიტარულ თეატრის სამუშაო გეგმა უფრო გაფართოებულია. დასის შემადგენლობაც განახლებულია. რეპერტუარში შეტანილია მრავალი საინტერესო პიესა და ინსცენიროვკა.

პირველი წარმოდგენა სანაგიტთეატრმა გამართა ცხენოსან ლეგიონის კლუბში. პიესები ეხებოდნენ სხვა და სხვა გადამდებ და ვენერიულ ავადმყოფობას. მსახიობნი ასრულებდნენ როლებს ფრიად დამაკმაყოფილებლად და თავისი თამაშით დასტოვეს წითელარმიელებზე დიდებული შთაბეჭდილება.

ესევე პროგრამა გამეორებულ იქნა წითელ არმიის და ფლოტის სახლში. წარმოდგენას დაესწრო წითელარმიელები თბილისში მდგომ ყველა ქართულ ნაწილებიდან. იყვნენ აგრეთვე მეთაურები ოჯახებით.

როგორც ცხენოსან ლეგიონში, ისე არმიის სახლშიც, წარმოდგენა ჩატარდა უნაკლოდ.

წითელარმიელნი გამოსთქვამენ სურვილს, რომ ასეთი ხასიათის წარმოდგენები იმართებოდეს ხშირად, ვინაიდან მათ მოაქვთ დიდი სარგებლობა.

ი—ა.

# სამხედრო დისციპლინა და დისციპლინარული ღონისძიებანი

ჩვენი დროებითი სადისციპლინო წესდება თავის შესავლის მე-4 მუხლში ამბობს: რაც უფრო მეტად შეგნებულია წითელი არმიის მეომარი, მით უფრო უკეთ შეასრულებს იგი თავის რევოლიუციონურ მოვალეობას სოციალისტურ სახელმწიფოს წინაშე, მით უფრო მეტად ბრძოლის უნარიანი გამოდის წითელი არმია". დიახ, ეს ასეა, ვინაიდან შეგნებული წითელი არმიელი უკეთ კარგად გაიგებს თუ ვის ინტერესს იცავს საბჭოთა ხელისუფლება და უფრო მტკიცე დამცველი იქნება ამ ხელისუფლების. ჩვენი წითელი ლაშქრის ძლიერება და სიმტკიცე შეგნებაზედ არის დამოკიდებული, მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ხელისუფლება ყოველ მხრივ ცდილობს რათა ეს შეგნება არ შეიტანოს თავის ლაშქარში, ვინაიდან ბურჟუაზიული ლაშქარიც გარდა მეთაურთა შემადგენლობისა, ხომ მშრომელი ხალხის შვილებიდან შესდგება და თუ ის გათვითცნობიერდება და შეიგნებს მას, თუ ვის საქმეს ემსახურება ის, თავის ძალას შეაბრუნებს და იმავე ბურჟუაზიის საწინააღმდეგოთ წარმართავს. ამიტომ არის რომ ჩვენ წითელ ლაშქარში დისციპლინის საკითხს საფუძვლად შეგნება უძევს, ბურჟუაზიულ ლაშქარში კი დისციპლინის საფუძველია ჯარის კაცთა შეუგნებლობა. ჩვენ წითელ ლაშქარში როგორც წითელ არმიელთა მასა, ისე მეთაურთა შემადგენლობა მშრომელი ხალხის წიაღიდან არის გამოსული, ბურჟუაზიულ ლაშქარში კი თუმცა ჯარის კაცთა მასა მშრომელებიდან არის გამოსული, მაგრამ ისინი ემორჩილებიან თავად აზნაურთა და ბურჟუაზიულ წრიდან გამოსულ ოფიცრობას.

ჩვენს წითელ ლაშქარში მოსამსახურე თითეული უფროსი, არის თანამოძმე, აღმზრდელი, მასწავლებელი და მეგობარი თავისი ხელქვეითისა, ბურჟუაზიული ლაშქრის ჯარის კაცი კი კლასობრივად არის დახელქვეითებული თავის უფროსზედ, ვინაიდან ეს უფროსი, ესე იგი ოფიცერი, მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელია. ამისათვის აუცილებელია თითეულმა წითელ არმიელმა შეიგნოს, რომ მისი უფროსი, ეს ის უფროსი ამხანაგია, რომელიც მოწოდებულია მუშურ გლეხური ხელისუფლების მიერ უხელმძღვანელოს წითელი ჯარის აღზრდა-განმტკიცების და გაძლიერების საქმეს, რომ თითეული უფროსი წითელ ლაშქარში გამტარებელია იმ კანონების, რომელსაც უშვებს ჩვენი ხელისუფლება, რომ ამიტომ აუცილებელია და საჭირო როგორც ამავე სადისციპლინო წესდების ზოგადი დებულების 5 მუხლი ამბობს, სამხედრო მოსამსახურემ შეასრულოს ყველა სამსახურებრივი ბრძანება გარდა ისეთისა, რომელიც ატარებს ცხადად დანაშაულებითი ხასიათს.

(შემდეგი იქნება).

დ. ხიხაძე.

# პასუხი შეკითხვებზე

— ხუციშვილს. ყაზარმაში სიმღერა ან დოლის დაკვრა შეიძლებ იმ შემთხვევაში, თუ ამით სხვებს ხელს არ უშლით მუშაობაში. ძილის დროს არ შეიძლება.

— წ. მოლაშქრეს. თქვენს ცოდნაზეა დამოკიდებული უმცროსათ დაინიშნებით თუ უფროსი გადამწერად.

— გადამწერს. თქვენ არცერთი კუბიკის და არც სამკუთხედის ტარება არ შეგიძლიათ.

— შარიქაძეს. ვინაიდან თქვენ 1903 წ დაბადებულებთან გამოუწვევიხართ, ამიტომ მათთან ერთად წახვალთ უვადო შვებულებაში. ოჯახის დახმარების შესახებ უნდა მიმართოდ გლეხკომს.

— ბრეგაძეს. ეხლა სამსახური გეთვლებათ ნაწილში მისვლის დღიდან.

— მიშა ხუციშვილს. ერთი თვალიანი წყლის წისქვილი, თუ თქვენი და არა დაქირავებული შრომით ამუშავებთ, მაშინ არ ჩამოგერთმევად. მიმართედ შინაგან საქმეთა კომისარიატს.

— მელაძეს. თქვენ სარგებლობთ მეორე ხარისხის ოჯახური შეღავათებით, განთავისუფლება შეგეძლოთ იმ შემთხვევაში, რომ კომპლექტის შევსება მომხდარიყო უშეღავათოებით, მაგრამ ეს არ მოახდარა ამიტომ უნდა იმსახუროთ.

— გაჩეჩილაძეს. ხმარებისათვის ვარგისი ტანსაცმელი მოგეცემათ შვებულებაში წასვლის დროს.

— ხობულს. ბავშვის დასამარხი ფული (უფშემადგ.) გერგებათ სამხედრო უწყებიდან იმდენი, რამდენიც გადაწყვეტილი აქვს დამზღვევ სალაროს.

— გვიჩიას. თადარიგის მეთაურზე გამოცდებს შემდეგ უნდა იქნეთ განთავისუფლებული მაშინვე.

— ელიაშვილს. თუ ზედმეტ მსახურად დარჩებით ჯარში, მაშინ კავშირის წევრობა არ შეგიძლიათ, ისე კი სამსახურის გათავების შემდეგ აღდგენილი იქნებით წევრად.

— მასვე. ეს დამოკიდებულია მიწის რაოდენობაზე თემში, შემდეგ სად ცხოვრობთ ამ უკანასკნელის ცნობის უმისოდ გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემთ.

— ჩხიკვაძეს. ჯამაგირი გერგებათ შტატის მიხედვით.

— გურულს. საბეითლო კურსებზე ნაწილმა უნდა მიგავლინოთ. წერა-კითხვა უნდა იცოდეთ, ორი წლიანია. ეხლა მიღება შეწყვეტილია.

— გორგაძეს. ქონება შეიძლება გადასცეთ ანდერძით სხვა ვინმეს არა ნათესავებს, რაც კანონიერად ითვლება და დაეპატრონება სიკვდილის შემდეგ ის, ვის სახელზეც კანონიერად იქნება გაკეთებული ანდერძი.

— ქუთათელაძეს. რიგის წ. ა. მოკლე ვადიანი შვებულება ეკუთვნის მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული მიზეზების გამო და ისიც უფროსის ნებართვით.

— წაბლასხეველს. თქვენ უნდა მიმართოდ პარტკომისიას.

— მაგნიძეს. ორი კვირის ჯამაგირი გეკუთვნით, სამიდან ხუთ წლამდე სამსახურისათვის თვენახევრის.

— დომფლს. სამ შაურს საათში.

— ხუხას უფშემადგენლობას მიეცა შაღეულობა.

— მასვე. საოჯახო ულუფა ეძლევათ მხოლოდ მე-7 „ხარისხამდე.

— კუპრაშვილს. არ გეკუთვნით. წაიკითხეთ ქუთათელაძის პასუხი.

— კობზირიძეს. მიმართედ ნაწილის ექიმს.

— მსურველს. წითელ ჯარში მოხალისეთა მიღება შეჩერებულია.

— ჩ—შუას. მწერლებს კერძო ბინაზე ცხოვრება არ შეუძლიათ.

— წ. არმიელს. სამი წერილი გაგზავნა შეგიძლიათ თვეში უფასოთ.

— ხობუას. შეგიძლიათ თქვენს ტანზე გადააკეთებიოთ ტანსაცმელი თქვენს ხარჯზე.

— მოსწავლეს. შვებულებაში წასვლიდან ერთი წლის განმავლობაში არ იხდით სწავლის ფულს.

— მაშაშვილს. არ გეკუთვნით.

— იორდანაშვილს. შეგვატყობიეთ თქვენი ოჯახის წევრთა რაოდენობა და მათი წლოვანება.

# ჩვენი ფოსტა

კ. კილასონიას. თქვენი კორესპონდენცია, ულევის თემის ალმასკომის შესახებ, გადაეგზავნა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტს". ჩვენთვის გამოუსადეგარია.

დ. ტყემალაძეს. თქვენ წერილში წითელ არმიის შესახებ ზოგადი ფრაზებია. მასალა ინტერესს მოკლებულია ჩვენი გაზეთისათვის. არ გადის.

უცნობს. თქვენს წერილში ვერაფერი ვერ გავიგეთ. ლაპარაკია თითქოს სოფ. გრემსა და წითელ არმიელებზე მაგრამ რის გარშემოა და რაზე, გაუგებარია სრულიად. სწერეთ გარკვევით. წერილს თქვენი ვინაობაც მოაწერეთ შემდეგში, თორემ არ დაიბეჭდება.

გიკაშვილს. თქვენი წერილი სრულიად გაურკვეველია. ფანქრით ნაწერი წაშლილა და არაფერი სჩანს. შემდეგში საჭიროა სწეროთ აუცილებლად მელნით და ქაღალდის ერთ გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქცია არ დაბეჭდავს წერილებს.

ქვანიას. ხელი კარგი გაქვთ, მაგრამ წერილიდან მაინც შეუძლებელია რაიმეს გამოტანა. ტექსტი სრულიად გაურკვეველია. საჭიროა სწეროთ გარკვევით და დაკვირვებულად. კორესპონდენტისათვის სავალდებულოა ამ წესის ცოდნა.

გ. კეკელიას. თქვენი წერილი ახალწვეულებთან მუშაობის შესახებ, დაგვიანებით არის მიღებული. აქ გაშუქებულია ახალწვეულების ცხოვრება კარანტინში. მოიწერეთ ახლების ყაზარმაში მუშაობისა და ცხოვრების შესახებ.

გ. ჭარამაძეს. ამის შესახებ იყო ჩვენი გაზეთის გასულ ნომერში. მოიწერეთ, თუ როგორი ხასიათის მუშაობა ტარდება ნაწილში და როგორ ხვდებიან მას ახალწვეულები—შესაფერი ფაქტების აღნიშვნით.

ე. ამირახანოვს. თქვენ სწერთ ნაწილის მეცადინეობაზე, მაგრამ არაფერს ამბობთ თუ როგორი მეცადინეობა სწარმოებს, როგორ ითვისებენ მას წითელ არმიელები და რა აზრის არიან წითელი ყაზარმის შესახებ. საჭიროა ცოცხალი ფაქტები ყველა ამათ შესახებ. წერილი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის დანიშნულებას. ისე კი ის არ არის საინტერესო.

ალ. ალექსაიას. ასეთი წერილი იყო ჩვენს გაზეთში თქვენი ნაწილიდან. განმეორებით ვერ დავბეჭდავთ იმას რაც უკვე იყო ერთხელ. მოიწერედ შემდეგი მუშაობის შესახებ. მეტი ფაქტები და ნაკლები ზედმეტი სიტყვები.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამავე ასეულის ოცეულის მეთაურს ვარლამ იოსებისძე გრიგორაშვილს, პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს, გთხოვთ გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში. ხელმოუწერელი ცნობები არ მიიღება.

---

მე-5 ლეგიონის მე-3 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში წევრად მიღების შესახებ: ამხ. ტონია პეტრესძე ვალერიანს და კ. პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ: ამხ. ამხ. მილოსი ნიტიფოსძე როყუას და იუსტინე ბათლოძესძე გაბელაიას. გთხოვთ თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში.

---

1-ლ ქართულ ლეგიონის მეექსე უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის წევრად დამტკიცების შესახებ:

1. საკაევ დავითს, 2. აბულოვი არმაკს, 3. პაპასკირი კოსტას.

გთხოვთ თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

---

1-ლი საარტ. ლეგიონის საძნეო გუნდის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის წევრად და კანდიდატად გადარიცხვის შესახებ:

1. ქებაძე პეტრე ილიასძეს და 2. გორგაძე ივანე დავითისძეს.

კანდიდატებათ: 1. ბაქრაძე აველი იროდისძეს, 2. მასხარაშვილი ალექსანდრეს.

თუ ვინმეს იცით ამხანაგებზე რაიმე უარყოფითი, გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში.

---

1-ლ მსროლელ ლეგიონის მე 4 უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტკანდიდატად მიღების შესახებ: ბახტაძე შალვა მიხეილისძეს (ქუთაისის მაზ. ხონიდან), 2. ჯინჭარაძე ისაკი ექვთიმესძეს, 3. კიკნაძე ვლადიმერ ივანესძეს, 4. გოგიტიძე აკაკი ანდრიასძეს, 5. გოგიტიშვილი სიმონ იასონისძეს და 6. შარაბიძე ვლადიმერი ნიკოლოზისძეს.

თუ ვინმეს რაიმე საწინაიღმდეგო გაქვთ გთხოვთ გვაცნობოთ.

---

**დაკარგე** ქართულ გაერთიანებულ სამხედრო მეთაურთა სკოლიდან გაცემული ა.ლ.კ. კავშირის მანდატი № 16652 მე 5 ლეგ. ოც. მეთაურ. სეით მიხეილისძე რაზმაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** „ბოეცის" საწევრო წიგნაკი № 26761 გრიგორ ქვანიას სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** საქ. ა.ლ.კ.კ. გაცემული მანდატი № 1916 ამხ. ვარლამ ქარჩავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ალმასკომის სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.